ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4872312

ნომერი: AR1726811

თარიღი : 31.01.2020

გაცემის თარიღი : 24.02.2020

გაცნობის თარიღი : 24.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არაყიშვილის II ჩიხი , N 1-3-5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მაღრაძე პ/ნ 01030017503
- თბილისი სანკტ-პეტერბურგის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 31 იანვარს NAR1726811 განცხადებით მომართა დავით მაღრაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, არაყიშვილის II ჩიხი, N1-3-5, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.11.042.059), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 ივნისიდან 2017 წლის 19 ივნისის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 01 თებერვლის №3800235 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, არაყიშვილის II ჩიხი, N1-3-5-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის Nბ-19/01171812293-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ–სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 1250.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1244.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 160.4 კვ.მ-ის ნაცვლად 157.3 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების მიხედვით საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 1250.8 კვ.მ-ს, ხოლო საზაფხულო ფართობი -160.4 კვ.მ-ს, რაც ასევე ასახულია სამსახურის 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, საცხოვრებელ და საზაფხულო ფართობებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია განცხადების დაკმაყოფილებისა და 2014 წლის 22 მაისის №1284955 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი